გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 3047 2016 წლის 26 დეკემბერი ქ. გურჯაანი

დემონტაჟზე მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე, 33-ე, 36-ე - 39-ე, 46-ე - 58-ე, მე-60 მუხლების შესაბამისად სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანის საჯარო სკოლის (ს.ნ 227753204) დირექტორის – **ქეთევან ირომაშვილი-ჯაჭვაძის** მომართვის (გამგეობაში რეგ. № 2317, 30.11.2016 წ) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნას სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ **ვაჩნაძიანის** საჯარო სკოლის ეზოში, სახელმწიფოს საკუთრებაში და სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15905.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 51.02.60.031) არსებული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის, საქვაბის (ფართი 66.0 კვ.მ) ეზოს აუზის (ფართი 108.5 კვმ) ელექტროგამანაწილებელი ჯიხურის (ფართი 33.00 კვმ) დემონტაჟი (ფართით 27.90)კვ.მ რაზედაც არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა (წერილი MES1601335935, 08.11.2016 წ) და სახელმწოფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურეობის ცენტრის თანხმობა (წერილი № 9/24948 20.05.2016) დემონტაჟი განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
2. დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს გასცეს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის დემონტაჟზე სანებართვო მოწმობა..
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს – 6 (ექვსი) თვით;
4. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე დაევალოს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს;
5. ბრძანება ძალაშია დაინტერესებული მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24).

გამგებელი

227765022

გივი გერგიძე

„დამტკიცებულია“

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის
2016 წლის 26 დეკემბერი № 3047 ბრძანებით

დამკვეთი: სსიპ ს. ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა **საპროექტო ობიექტი:** საწყობის დემონტაჟი.
საფუძველი: - განცხადება.

საპროექტო ორგანიზაცია: საქვაბის, ეზოს აუზის და ელ. კიოსკის დემონტაჟი
საკადასტრო რუკა და რეესტრიდან ამონაწერი: № 51.02.60.031

მიწის ნაკვეთის ფართი: 15905.0 მ^2

საქვაბის დემონტაჟი

განაშენიანების ფართი: 66.00 მ^2
საერთო ფართი: 53.4 მ^2
სამშენებლო მოცულობა: 264.0 მ^3

აუზის დემონტაჟი

განაშენიანების ფართი – 108.5 კვ.მ^2
საერთო ფართი – 90.2 კვ.მ^2
სამშენებლო მოცულობა –271.25 მ^3

ელ კიოსკის დემონტაჟი

განაშენიანების ფართი – 33.0 კვ.მ^2
საერთო ფართი – 24.4 კვ.მ^2
სამშენებლო მოცულობა –99.0 მ^3